ქართული კრედიტი
GEORGIAN CREDIT

კორპორაციული მართვის კოდექსი

სს ქართული კრედიტის, შემდგომში „კომპანია“, კორპორაციული მართვის კოდექსი ეფუძნება ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კორპორაციული მართვის პრინციპებს

პრინციპი 1:

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის კორპორაციული მართვის სტრუქტურასა და ამ კოდექსში ჩამოყალიბებული პრინციპების დაცვაზე.

პრინციპი 2:

აქციონერები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით.

პრინციპი 3:

იმ პირების ოჯახის წევრები ან/და დაკავშირებული მხარეები, რომლებსაც კომპანიაში აქვთ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, არ გააჩნიათ უფლება ისარგებლონ ამ უკანასკნელთა რწმუნებულებით.

პრინციპი 4:

აქციონერთა საერთო კრების პროცედურების თანახმად ყველა აქციონერი სარგებლობს თანაბარი უფლებით. კომპანიის შიდა პროცედურები მაქსიმალურად ამარტივებს აქციონერთათვის ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობის მიღებას.

პრინციპი 5:

სააქციო კაპიტალის სტრუქტურაში ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება გამჭვირვალედ და ყველა აქციონერის უფლების თანაბარი დაცვით.

პრინციპი 6:

კომპანია ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესს და შესაბამისად აქვს ქცევისა და ეთიკის კოდექსი, რაც არეგულირებს ასეთ დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ყველა ასპექტს.

პრინციპი 7:

კომპანია უზრუნველყოფს მისი ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი ისეთი დოკუმენტების ზუსტ და დროულ გამოქვეყნებას, როგორიცაა წლის ფინანსური ანგარიშგება, მესაკუთრეთა ვინაობა და კორპორაციული მართვა.

პრინციპი 8:

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიულ მართვაზე, დირექტორატის ეფექტურ მონიტორინგსა და ამ უკანასკნელის ანგარიშვალდებულებაზე, როგორც კომპანიის, ასევე ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ.

პრინციპი 9:

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა წარიმართება, ყველა წევრის დამოუკიდებლობის, ავტონომიურობის, დამოკიდებულებისა და შეხედულებების თავისუფალი გამოხატვის შესაძლებლობის პრინციპის დაცვით.

პრინციპი 10:

სამეთვალყურეო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს სათანადო ფუნქციონირებას.

პრინციპი 11:

სამეთვალყურეო საბჭოს თანაშემწეობას უწევს კორპორაციული მდივანი.

პრინციპი 12:

სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, შემრჩევი კომიტეტის, აუდიტის კომიტეტისა და ანაზღაურების განმსაზღვრელი კომიტეტის დანიშვნის შესახებ.

პრინციპი 13:

სამეთვალყურეო საბჭო პასუხიმგებელია მონიტორინგი გაუწიოს დირექტორატის მიერ კომპანიის მიზნების, სტრატეგიისა და გეგმების შესრულებას.

პრინციპი 14:

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელი არიან ყველა კანონის და რეგულაციის დაცვაზე, კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მართვასა და კომპანიის დაფინანსების უზრუნველყოფაზე.

პრინციპი 15:

კომპანია მოწოდებულია თავიდან აიცილოს ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტი მასსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის.